№ 258 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. შაბათი, ნოემბრის 13 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83.

სახელმწ. თეატრი.

13 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის.

ტ ა ი ს ი

14 ნოემბერს. **კ ა რ მ ე ნ ი**

15 ნოემბერს **კ ო ტ ე დ ა ქ ე თ ო**

16 ნოემბერს **რ ი გ ო ლ ე ტ ო**

17 ნოემბერს **მ ი ნ ი ო ნ ი**

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შაბათს, ნოემბრის 13-ს **მსხვერპლი**— ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. 971 2—2

მეორე ქართული კლუბი

დღეს, შაბათს,

ს ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ი

კლუბის თეატრში გაიმართება ლექციები, წარმოდგენები, კონცერტები და სხვა გონივრული გასართობები. ამ მოკლე ხანში კლუბში მოეწყობა

იაფფასიანი სასადილო.

983 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

9 ნოემბერი, 1920 წ., № 456.

სახელმწიფო კონტროლის მოანგარიშე მოხელე ნინო გიგო ჭავჭანიძის ასული გადაყვანილია ბათომის საოლქო განყოფილებაში იმავე თანამდებობით ა. წ. 9 ნოემბრიდან.

10 ნოემბერი, 1920 წ., № 457.

ინიშნება: სახელმწიფო კონტროლის მოანგარიშე მოხელეთ ონიფანტე კონსტანტინეს ძე ოჩიგავა ა. წ. 10 ნოემბრიდან.

№ 458.

სახელმწიფო კონტროლის ბათუმის საოლქო განყოფილების მოანგარიშე მოხელე ა. კვინიკაძე ინიშნება რევიზორის თანაშემწეთ ა. წ. 10 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი: **კ. ანდრონიკაშვილი.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

1 სექტემბერი, 1920 წ., № 46.

დანიშნულნი არიან: გრიგოლ დივნიშვილი, ივანე ლორთქიფანიძე და გიორგი სხირტლაძე ზედამხედველებათ დაბალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის ქსელზე 1 სექტემბრიდან ყოფილი ფოსტალიონი სიმონ ბანძელაძე ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირით ქუთაისის კანტორაში 6 სექტემბრიდან. ყოფილი მოხელენი გიორგი მანდენოვი, სუმბათ არაქელიანცი, გრიგოლ ანანიკიანცი ანნა ჯანგულაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: მანდენოვი VI ხარ., არაქელიანცი III ხარ. გაგრაში, ანანიკიანცი VI ხარ. ართვინში, ჯანგულაშვილი VI ხარ. საგარეჯოში, ბანძელაძე, მანდენოვი, ანანიკიანცი 6 სექტემბრიდან დანარჩენნი ხუთნი 1 სექტემბრიდან 1920 წ.

დანიშნულნი არიან: მე-5 ხარ. მოხელე გაგრის კანტორისა იერონიმე ცინცაძე, ივანე ლომაია, გრიგოლ მჟავანაძე, მაქსიმე სოლომკო მე-4 ხარ. მოხელეებათ იმავე კანტორაში. ლაილაშის განყოფილების ფოსტალიონი სტეფანე კაჭკაჭოვი მე-6 ხარ. მოხელეთ არტაანში. ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი იაკობ მარტინენკო ზედამხედველათ მაღალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის ქსელზე. მეორე კატეგორიის ფოსტალიონები: ლაგოდეხისა ლევან ახობაძე, სოხუმისა რუბენ ჭელიძე და ვლადიმერ კიშმარია პირველი კატეგორიის ფოსტალიონებათ ამავე კანტორებში; ჭელიძე და კიშმარია პირველ ივლისიდან, კაჭკაჭოვი 6 სექტემბრიდან დანარჩენნი 1 სექტემბრიდან.

გადაყვანილნი არიან: ფოთის კანტორის უფროსი მექანიკოსი ივანე სტუპინი, ზედამხედველნი მაღალი ჯამაგირით ტფილისის ტელეფონის კანტორის იაკობ მუშკუდიანი, ტფილისის ტელეფონის ქსელის სილიბისტრო ჭელიძე, ხაშურის თედორე კორჯოვი, ქუთაისის ტრიფონ ლოლაძე; ზედამხედველნი დაბალი ჯამაგირით: ქუთაისის მელიტონ დოლიძე, ზესტაფონის ფილიპე ბაქანიძე, შულავერის პოლიკარპ ჯიჯიეიშვილი იმავე წოდებით: ლოლაძე ზესტაფონში, დანარჩენნი შვიდნი ბათომის კანტორაში ყველანი 1 სექტემბრიდან 1920 წ.

დათხოვნილნი არიან: ზედამხედველნი მაღალი ჯამაგირით: გორის ივანე გაპონოვიჩი, ქუთაისის კონსტანტინე როკიცკი თანახმად თხოვნისა 1 სექტემბრიდან 1920 წ. ყოფილი ქუთაისის უფროსი ზაქარია დელიბაში უნდა ჩაითვალოს სამსახურიდან დათხოვნილათ როგორც ქუთაისის უფროსი დღიდან მისი დანიშვნისა პირველი ხარისხის მოხელეთ ესე იგი 16 ივლისიდან 1920 წ.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

შინაგან საქმ. სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი გამოსცა: საქართველოს რესპუბლიკის ყველა მინისტრებს, გენერალურ შტაბს, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, ერობათა კავშირს, ქალაქთა კავშირს, ყველა სამაზრო ერობის და ქალაქის თვითმართველობებს.

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისა ამა წლის 11 ნოემბრის თარიღით № 5586 სათბობ მასალის ეკონომიურად მოხმარების მიზნით, დღესვე უნდა მოისპოს ავტომობილებით, მიმოსვლა, გარდა უცხო სახელმწიფო მისიებისა. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, ავტომობილების მიმოსვლის აუცილებლივ შეწყვეტისათვის.

მინისტრის მოადგილე **ჭიჭინაძე.**

ვაჭრობა და მრეწველობის სამინისტროში

ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა „ფუტკრისა და სკის“ სააქციონერო საზოგადოების დამტკიცების შესახებ. საზოგადოების მომწყობნი და ხელმძღვანელები არიან ჩრდილოეთ კავკასიაში, ცნობილი მეფუტკრენი ვორობიოვი და დანდუროვი.

ფინანსთა სამინისტროში ა. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი დაზღვევის საქმეების შესახებ. თათბირს დაესწრნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა დამზღვევი საზოგადოების წარმომადგენელნი. განიხილეს შემდეგი საკითხები: რუსების დამზღვევ საზოგადოების ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებულ სათადარიგო თანხის გამოყოფის შესახებ, 2) დამზღვევ საზოგადოების სამრეწველო და სხვა გადასახადებით დაბეგვრის შესახებ, 3) სახელმწიფო დამზღვევ საზოგადოებებში მონაწილეობის მიღების შესახებ. ნაწილი ამ საკითხებისა გაირჩა ამავე სხდომაზე და ნაწილი კი შემდეგ სხდომისათვის გადაიდვა.

შრომის სამინისტროში

ჯამაგირების გათანასწორება.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუთანასწოროს ცალკე კოოპერატივების მოსამსახურეების ჯამაგირები კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის მოსამსახურეების ჯამაგირებს. სატარიფო პალატა შეეკითხა მუშათა მაგიდას: შეუძლიათ თუ არა კერძო საავადმყოფოების მუშებს და მოსამსახურეებს მიეხეროს მუშათა მაგიდასო.

კართოფილის დარიგება.

მუშათა მაგიდა შეუდგა სულზე 5 გირვანქა კართოფილის დარიგებას. კართოფილის მიღება შეიძლება მუშათა მაგიდის მთავარ საწყობიდან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

სანოვაგეთა რეკვიზაცია.

შრომის სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს განცხადებით: ქალაქის განაპირა უბნებში მილიციის მოსამსახურენი და სხვა ზოგიერთი პირნი რომელიც თავს გვარდიელებს უწოდებს ართმევენ სოფლელებს სანოვაგეს ძლიერ მცირე ფასებში. ეს პირები ასევე იქცევიან მაშინაც, როდესაც მუშათა მაგიდისათვის მიაქვთ სურსათი. ამას წინათ ამგვარათ წაიღეს მუშათა მაგიდისათვის დამზადებული ნახშირი, მიუხედავათ სათანადო მოწმობის წარმოდგენისა ეს ნახშირი მაინც წაიღეს და იქვე მიყიდეს ხალხს იაფფასებში. შრომის სამინისტრო თხოულობს, რომ სერიოზული ყურადღება მიაქციონ მილიციელთა და გვარდიელთა ასეთ საქციელს და შემდეგში იგი აღარ განმეორდეს.

დამფუძნებელი კრება

12 ნოემბრის სხდ-მა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

ქ-ნ ქ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურეთა 1920 წლ. აგვისტოს 16, დეკრეტის მოქმედების გავრცელების შესახებ. საბოლოო ტექსტის განხილვა დეკრეტისა სახელმწიფო დაწესებულებების შესანახად 1920—21 წლ. საბიუჯეტო წლის ანგარიშის თანხის გადადების, წესი კონსტიტუციის პროექტისა და დეკრეტი საზღვარ გარეთიდან ზოგიერთ საქონლის შემოტანის აკრძალვის შესახებ გადადებულ იქნას.

სომხეთი

სამხედრო მოქმედების განახლება.

საქართველოში მყოფი სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით ნოემბრის 7 სომხეთისა და ოსმალეთის ეროვნული სარდლობის შეთანხმებით შესწყდა სამხედრო მოქმედება. ნოემბრის 8 აღმოსავლეთ ფრონტის ოსმალთა ეროვნული ჯარის სარდლობა ვენ. ლეიტენანტმა კიაზი კარაბექირმა ჩვენს სარდლობას აუწყა, რომ მათ ანგორის მთავრობისაგან მიიღეს დროებითი ზავის პირობები, რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელი იყო ზავზე მოლაპარაკება. დროებითი ზავის პირობები შემდეგია: 1) 24 საათის განმავლობაში ჩააბარონ ოსმალებს პირობაში ჩამოთვლილი იარაღი და რკინის გზის მოძრავი შემადგენლობა, 2) სომხეთის ჯარისა და რეგულიალური ნაწილის უკან დახევა მდ. არპაჩაის მდ. ალიგიზის სად. კირმიზლის—კულიჯანის-ნალბანდ—ვორონცოვკის—ხაზის აღმოსავლეთით, 3) იგდირის ფრონტზე სომხეთის ჯარი დაიხევს: სურამლუ—სად. არაქს-კიზილ-ზიარეცის ალგეზის მთის კალთების—ტაფა კირშაკის—ნოვომიხაილოვკას—ნარიკანდის შირმატ—იალვანდაგის ხაზის აღმოსავლეთით, 4) დროებითი ზავის შემდეგ შეჩერდება სამხედრო მასალის გადატანა: სანაინ—ალექსანდროპოლის ხაზით: ტრანსპორტის შესამოწმებლად ოსმალები აწესებენ საკანტროლო კომისიას სად. სანაინზე და კარაკლისში. დროებითი ზავი ანგორის მთავრობის დადგენილებითი უნდა გაგრძელდეს 7 დღე რის შემდეგ დაიწყება ზავზე მოლაპარაკება. ამ მოთხოვნილებათა აღსასრულებლად ვადა გადიდებული იქნა კიდევ 24 საათით. სომხეთის მთავრობამ აუწყა ოსმალთა ეროვნულ სარდლობას, რომ წარდგენილ პირობაზე მსჯელობას ადგილი ექნება მხოლოდ გუმბრში საზავო დელეგაციის შეხვედრის შემდეგ. ამაზე ანგორის მთავრობის სარდლობამ უპასუხა, რომ მისთვის არ დაუვალებიათ შესცვალონ დროებითი ზავის პირობები და რომ ამ დროებითი პირველი პირობები წარმოადგინა არა ანგორის მთავრობამ, არამედ სარდლობამ. ანგორის მთავრობის მიერ წარმოდგენილი დროებითი ზავის პირობები, სომხეთის მთავრობამ იცნო დამამცირებლად და უარყო.

ნოემბრის 11 ოსმალებმა სამხედრო მოქმედება განაახლეს.

ოსმალთა მოთხოვნილება სომხეთს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია „სახ. საქ.“ წინასწარ ზავის პირობების დასამატებლად ქემალისტებს სომხეთისათვის წარუდგენიათ შემდეგი მოთხოვნილებანი.

1) მთელი არტილერიის, იარაღის და სამხედრო ქონების ჩაბარება ოსმალთათვის; 2) რკინის გზის გუმბრიდან სანაინამდე და გუმბრიდან არაქსამდე (ერევ. მხრით) უნდა გადაეცეს იმავე ოსმალეთს; 3) მათვე უნდა გადაეცეს შარა გზა კარაკლისიდან აქსტაფამდე.

აგრეთვე ოსმალთა ხელში უნდა იყოს რკინის და შარა გზების აქეთ-იქით 15 ვერსის მანძილი.

ეს მოთხოვნილებანი სომხეთისთვის ქემალს წარუდგენია ულტიმატუმის სახით. ჯერ არაა ცნობა, თუ რას აპირებს სომხეთის მთავრობა.

სომხეთი და მოკავშირენი.

გაზეთი „აშხატავორი“ სწერს: სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ მოკავშირეები არავითარ დახმარებას არ უწევენ სომხეთს ქემალისტების საწინააღმდეკო ბრძოლაში. მოკავშირეები ამ თავდასხმას უცქერიან მეტად გულგრილად და არაფრით უნდათ ანუგეშონ სომხეთის ხალხი. არას დროს მოკავშირენი არ ყოფილან ისე „ნეიტრალური“, როგორც დღევანდელ მომენტში ქემალისტების საფრთხის დროს.

სერვერ-ბეკი.

სამხრეთ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ყოფილმა წევრმა სერვერ-ბეკმა თავის საკუთარ სოფელში გამართა მიტინგი. მიტინგზე სერვერ-ბეკი აღნიშნავდა ოსმალეთის სამამაცეს და იმ დადებითი მხარეებს, რომლის მატარებელი არის ქემალიო. ქემალის სასარგებლოდ სერვერ-ბეკი დიდ პროპაგანდას ეწევა ბორჩალოს მაზრაშიც და ყველა იმ კუთხეში, სადაც კი მას ხელი მიუწვდება. სერვერ-ბეკი განსაკუთრებით ცდილობს სომხეთის ტერიტორიაზე გაავრცელოს ქემალის სასარგებლო პროპაგანდა.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

წესიერება სირიაში.

გენერალი გურო მარსელს მ ვიდა და პრესის წარმომადგენელებს განუცხადა: სირიაში ეხლა სრული წესიერება არის. კილიკიაში კიდევ დათარეშობს ზოგიერთ ადგილს ქემალის აგენტების ხელმძღვანელობით უმნიშვნელო რაზმებიო, მაგრამ გუროს აზრით, მალე მოხდება ამ რაზმების ლიკვიდაციაც.

ბულგარეთი ერთა ლიგაში.

ბულგარეთმა ერთა ლიგის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა, რომ იგი ლიგაში ჩაიცხონ.

პალესტინის მდგომარეობა.

„ნეიე ციურიხერ ცაიტუნგი“ ახალ პალესტინის მძიმე მდგომარეობის შესახებ იუწყება. საფრანგეთსა და ინგლისის შორის ირდანის მარცხენა ნაპირის შესახებ უთანხმოება ჩამოვარდა. ამ ოლქის ჩრდილოეთის ნაწილში უნდა შეიქნეს ბუფერი სირიის და არაბის ტანისგაურანს შორის. ებრაელი კოლონისტები საერთო საშიშროების გამო ყოველგვარ სამეურნეო მოქმედებაზე უარს აცხადებენ, მით უმეტეს, რომ შესაძლებლად სთვლიან ინგლისელების მესოპოტამიიდან წასვლას.

ცხოვრება ბუდაპეშტში.

ადგილობრივი პრესა იუწყება: საღამოს 6 საათიდან იხურება მაღაზიები. 8 საათზე ქუჩები ცარიელია. ცხოვრება მეტად გაძვირდა. მამაკაცის კოსტიუმი ღირს 7—11.000 კრონი. ფეხსაცმელები 2.000 კრონი.

გადასახლება კანადაში.

უკანასკნელ ხანში მეტად გაძლიერდა კანადაში გადასახლება. უკანასკნელ თვის განმავლობაში კანადაში 20000 კაცი გადასახლდა, მათ შორის ინგლისიდან გადასახლდა 12.000 კაცი, შეერთებულ შტატებიდან 6000 კაცი და სხვა.

რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების წინააღმდეგ

დიდი ბრიტანეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ასოციაციამ მთავრობას განცხადება გაუკეთა იმის შესახებ, რომ მას არა სურს რუსეთთან ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა, მანამ, სანამ იგი ინგლისის ვალს არ აღიარებსო.

რუს ვაჭარ-მრეწვ. თათბირი.

კაშტანოვის თავმჯდომარეობით მოხდა რუს ვაჭარ-მრეწველთა თათბირი. სრულიად რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა რწმუნებულმა პოპლავსკიმ განაცხადა, რომ პარიზში მყოფ რიაბუშინსკიდან მივიღე წერილი, სადაც იგი აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს სტამბოლში რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა გამაერთიანებელ ცენტრის მუშაობის განახლებას. კამათის შემდეგ დაადგინეს: სტამბოლში დაარსდეს რუს ვაჭარ-მრეწველთა თათბირი. ამავე თათბირზე აირჩიეს ბიურო, რომელშიაც შევიდენ: კაშტანოვი, პოპლავსკი, პატრიკეევა, ბეპლე და წერნიშოვი. კანდიდატებათ: ბელიამინი, მალინინი, ტიუმენევი და ბუტკინი.

კანტორისაგან

გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

კანტორა

უპანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მოწერა დაწესებულებათა საუურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოესპოგათ თუ აღნიშნულ დროამდე ფული არ შემოიტანეს.

სევრის ხელშეკრულება.

ვინაიდან სევრის ხელშეკრულების რატიფიკაცია ოსმალეთს ჯერ კიდევ არ მოუხდენია, ამიტომ ოსმალეთისათვის შეპირებული დახმარება მეტად შემცირდება. სურთ, რომ ამ გზით იმოქმედონ ოსმალეთზე და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა მაშინ შეთანხმების სახელმწიფოები ოსმალეთს ულტიმატუმს წარუდგენენ. „პტი პარიზიენის“ ცნობით ოსმალეთის მთავრობა უარს არ ამბობს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

შრომის ბეკარა ბულგარეთში.

ბულგარეთში ყველასათვის 15 წლიდან 56 წლამდე საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს. ყველანი ხუთი დღის სავალდებულო შრომის ფრონტზე გაიწვიეს.

მოსკოვის სამხედრო ცნობა.

მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ნაწილების შეტევაზე გადმოსვლის გამო ჩვენმა ნაწილებმა მოზირ კორსტენის რკინის გზის ხაზზე დაიხიეს. მოზირის დასავლეთით 45 ვერსის მანძილზე ჩვენ დაგვნებდა ბალახოვიჩის ცხენოსანთა პოლკი, რომელმაც წინასწარ სრულიად ამოსწყვიტა თავისი ოფიცრები. ნოვოუშიცას მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს. ამასთანავე ხელთ იგდეს 6 ზარბაზანი, 12 ტყვიის მფრქვეველი, 100 ტყვე და სხვა ნადავლი. პერეკოპის რაიონში ჩვენმა ჯარებმა გაარღვია მოპირდაპირის გამაგრებული იაშუნსკის პოზიციების პირველი ხაზი და ხელთ იგდო 600 ტყვე.

ზავის საკითხი პოლონეთის სეიმში.

პოლონეთის მთავრობამ განაცხადა სეიმში, რომ პოლონეთის მიზანი ამ ჟამად აღმოსავლეთის საზღვარზე საზავო დამოკიდებულების აღდგენა არისო. სეიმმა გამოსთქვა აზრი, რომ პოლონეთის ინტერესები მოითხოვენ არ ჩაერიოს პოლონეთი რუსეთის სამოქალაქო ომშიო. პოლონეთის სარდლობამ განაცხადა, რომ „მიღებულია ზომები აუკრძალონ პოლონელ ჯარისკაცებს იბრძოლონ ბალახოვიჩის, პერემიკინის და გენ. იაკოვლევის ნაწილებში მოხალისეების სახით.

ჩვენი ტყვეები პოლონეთში.

ვარშავაში შეუდგა მუშაობას ის კომისია, რომელმაც თანახმად საზავო ხელშეკრულების პირობებისა დახმარება უნდა აღმოუჩინოს სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებს. პოლონეთის კომისიამ დაადგინა მიიღოს ზომები სამშობლოში ტყვეების დასაბრუნებლად.

გენ. კლიუევი—ვრანგელის წარმომადგენელი ფინლიანდიაში იმყოფება ვრანგელის ჯარისათვის ოფიცრებს აგროვებს.

საფრანგეთის ახალი ელჩი ლონდონში

გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ პოლ კამბონის გადადგომის გამო თანხმობა სთხოვა ბრიტანეთის მთავრობას გრაფ დე-სენტ ოლერის საფრანგეთის ელჩად ლონდონში დანიშვნის შესახებ. ამ ჟამად გრაფ დე-სენტ-ოლერი იმყოფება მადრიდში საფრანგეთის ელჩად.

პარიზში.

პარიზსა და მთელ საფრანგეთში ზეიმია. სამხედრო ნავთსადგურებში გემები მორთულია დროშებით. პარიზის ყველა ეკლესიაში მოხდა მღვდელთ მსახურება; მეომართა საფლავები ყვავილებით მორთეს.

გერმანული ცნობები.

„ფორვერსტის“ გაფრთხილება.

„ფორვერტსი“ აფრთხილებს ყველა უმუშევარს თავი შეიკავონ კომუნისტური პროპაგანდის და საერთო გაფიცვებისაგან, რასაც მხოლოდ ტერორის გამოწვევა მოყვებაო.

ლიონის ცნობა.

ადრიატიკის საკითხი.

სანტ-მერგერიტანიდან იუწყებიან: იტალიისა და სამხრეთ სლავიის დელეგატებს შორის საზღვრების შესახებ შემდეგი შეთანხმება მოხდა: 1. ისტორიაში ორივე მხარემ მიიღო საზღვრების ის ხაზი, რომელიც ლონდონის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ხაზს უდრის. შეცვლილია მხოლოდ მისი მცირე დეტალები. 2. ფიუმე ცხადდება დამოუკიდებლათ, მისი ტერიტორია ესაზღვრება იტალიის ტერიტორიას. 3. ზარა იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ იქნება. 4. კვარნეროში არსებული კუნძულები: გერსო, ლიუსინო და უნივ. კვარნერო ადრიატიკაში არსებული კუნძული ლიგასტა იტალიას გადაეცემა. ამის შემდეგ მოხდება შეთანხმება.

ახალი ამბები

✦ **ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, რომ მობილიზაციის დროს ყოველგვარი შეღავათი გაუქმებულია და შესაკრებ პუნქტზე, (ვაგზ. ქ. № 24) უნდა გამოცხადდნენ ყველა 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულნი მიუხედავათ მათი სამოქალაქო საზოგადოებრივი და სახელმწიფო სამსახურ-თანამდებობისა. დაწესებულებანი ვალდებულნი არიან ყოველ გვარი ანგარიშები დაუყონებლივ გაუსწორონ მობილიზაციით გაწვეულთ. მხოლოდ მილიციონერებმა თან უნდა იქონიონ მოწმობები მილიციის უფროსისაგან, რომ იგინი ნამდვილ სამსახურში ითვლებიან, კომისიაში წარსადგენად.

✦ **მიხალეება მთავრობის თავმჯდომარეს** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება გულრწფელ სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიის ბელადს. მოსამსახურეები მზათ არიან შეკავშირებული ძალით გაუწიონ დახმარება რესპუბლიკას შინაგან აღმშენებლობის და ეკონომიურ აყვავების საქმეში.

✦ **საქონლის გაცვლა-გამოცვლა.** ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას რუსულ-ქართული სავაჭრო საზოგადოება „ივერია“. ამ ამხანაგობის მთავარი კანტორა დონის როსტოვში არსებობდა. ამხანაგობას განზრახული აქვს საქართველოს, რუსეთსა და ევროპას შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობა. ამხანაგობის ცენტრალური გამგეობა ტფილისს გადმოვიდა.

✦ **მობილიზაციის გამო.** შრომის სამინისტრომ მიმართა ყველა დაწესებულებას და წარმოებას შემდეგი შინაარსის ცირკულიარით: ყველა წარმოება და კერძო საზოგადოებრივი და სახელმწიფ.ებრივი დაწესებულება, რომელთა მუშა-მოსამსახურენი მომარაგების ფონდიდან ღებულობენ სურსათ სანოვაგეს, ვალდებულია დაუყონებლივ წარმოადგინოს შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდაში ყველა იმ მუშა და მოსახურის სია, რომელნიც სამხედრო სამსახურში არიან გაწვეულნი, ამასთანავე ამ სიაში აღნიშნული უნდა იყოს მათი სურსათ სანოვაგის წიკნაკის №. წარმოებათა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია, თუ 15 ამა ნოემბრამდე არ წარმოადგინა სია, ან და არა სწორი ცნობები მოგვაწოდა პასუხის გებაში იქნება მიცემული.

✦ **ქართულ ენის პრაქტიკული კურსები.** განათლების მინისტრის ნებართვით მეოთხე მთავრობის გიმნაზიასთან (ბელგიის ქუჩა № 4) იხსნება ქართულ ენის ისტორიის და ლიტერატურის პრაქტიკული კურსები. ორივე სქესის მოზრდილთათვის, როგორც ქართველთათვის, ისე საზოგადოდ ქართულ ენის არამცოდნეთათვის. კურსები გაიხსნება 20 ნოემბერს. სწავლა საღამოობით. კურსების გამგეთ მიუწვეულია დ. მ. დუმბაძე.

✦ **სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია.** ადერბეიჯანის მთავრობის შეკითხვაზე სომხეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოიწვიონ ბაქოში სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია. სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა ადერბეიჯანში მყოფი დიპლომატიური წარმომადგენელი მ. არუტუნიანი, წევრათ ა. ტერტერიანი (დაშნ.) და დ. ანანუნი (ს.-დ.)

სატარიფო პალატაში

ნოემბრის 8-ს სატარიფო პალატაში მუშათა ფრაქციამ განცხადება გააკეთა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე მუშათა ფრაქციამ განაცხადა, რომ ვერც ჯამაგირის მომატება და ვერც ერთდროული დახმარება სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს. მუშათა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება პურის რაციონის გადიდებით (გირვანქა ნახევარი დღეში სულზე). ზამთრის მოახლოების გაო შეშით უზრუნველყოფით და შაქრის, კართოფილისა და სხვა საჭირო სანოვაგის რეგულიარულად მიწოდებით. სატარიფო პალატამ თათბირის შემდეგ განცხადება გადასცა პრეზიდიუმს. დაავალა მას გაეკნოს საქმის მდგომარეობას და შემეგ სხდომაზე განიხილონ, თუ რამდენათ შესაძლებელია მუშათა ფრაქციის წინადადების განხორციელება. შემდეგ, პალატის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა შრომის სამინისტროს მიერ შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ პრემიალური სისტემის შემოღების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ამ საკითხის შესახებ მოხდა რამდენიმე თათბირი მუშათა წარმომადგენლებთან ერთად და იმ სისტემის შემოღება დადებითად გადასწყდაო. მომხსენებელმა წინადადება მისცა სატარიფო პალატას თავის მხრივაც პრინციპიალურად მიიღოს ეს სისტემა და მისი განხორციელება შესაფერ ორგანოებს მიენდოს. სატარიფო პალატამ გადასწყვიტა ეს საკითხი გაესახილველად გადასცეს მუშათა ორგანიზაციებს, და ერთი კვირის შემდეგ განსახილველად ისევ სატარიფო პალატას წარუდგინოს.

ბათომი

ბათომის ქალაქის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა რამიშვილი ქალაქის თავმა ანჯაფარიძემ მოხსენება გააკეთა ტფილისში ქალაქის საქმეებზე თავის მგზავრობის შესახებ. სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა გამგეობის წევრმა ქორქაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ქალაქს მაგარი ფასებითა და ნიხრით არ შეუძლია ცხოვრების სიძვირესთან ბრძოლაო. კრიზისის შემსუბუქება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ქალაქი თვით დაამზადებს და გამოიტანს სურსათს გასასყიდათო. ქალაქმა შეიძინა კართოფილი, ფქვილი, ხორბალი, შეშა, ხორცი და მარილი. მოქალაქეებს ურიგდებათ შაქარი, ბრინჯი, კარტოფილი, მარილი და ხორცი. სამი დღის შემდეგ ქალაქი შეუდგება პურის გაყიდვას. პური ეღირება გირვანქა არა უმეტეს 50 მანეთისა. სანოვაგის მოსამარაგებლად ქალაქმა სხვა და სხვა პირთ 5 მილიონი მანეთი მისცა.

— პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ ნოემბრის 7 მუშათა სასახლეში მოაწყო სიმფონიური დილა, რომელსაც დაესწრო გენ. მდივანი, ვ. სულაქველიძე, ქალ. თავი ანჯაფარიძე და სხ.

ერევანი

ტფ. სამაზრო ერობაში.

ერობამ დაავალა სასურსათო განყოფილებას, რომ შეძლების დაგვარად სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამსახურეებს აღმოუჩინონ სურსათით დახმარება.

— ერობის სასურსათო განყოფილებამ მუშათა მაგიდას დაუთმო 50 საჟ. შეშა 15.000 მან. საჟ.

— გამგეობის სხდომები ყოველთვის მოხდება ორშაბათობით, ხუთშაბათობით საღამოობით, ხოლო ოთხშაბათობით კი დილაობით უკანასკნელ სასწრაფო საკითხების გასარჩევად. ერთი საღამოს სხდომაზე იქნება საგანგებოდ გამგეობის წევრების მოხსენებითვის თავიანთ განყოფილებების მოქმედების შესახებ.

— ერობამ წინადადება მისცა საბიუჯეტო განყოფილებას, რომ მან დაჩქარებით გადუგზავნოს თემებს მობილიზაციაში გაწვეულ წევრთა ოჯახების დასახმარებლად გადადებული თანხა.

— ერობამ ყველა თემებს აცნობა, რომ ამიერიდან სასტიკად აკრძალულია ყოველივე ბეგარა დადება გასატან სურსათ-სანოვაგეზე. ამის გამო ყველა მილიციის უფროსებს დაეგზავნათ განკარგულება, რომ მილიციის უფროსები არ ჩაერევნენ რაიმე სურსათ-სანოვაგეზე გადასახადის აკრეფაში.

— ყველა მილიციის უფროსებს წინადადება მიეცათ, რომ მათ სასტიკათ ადევნონ თვალ-ყური ღვინის სმას დუქნებში, რათა არავითარი უწესოება და ბოროტ-მოქმედება არ მოახდინონ ხოლმე მთვრალმა ხალხმა.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

— ქალაქის მოურავმა ბ. ჩხეიძეშვილმა, შუამდგომლობა აღძრა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა მას უფლება მიეცეს ადმინისტრატიულ წესით დააპატიმროს ყველა ისინი, ვინც ხელოვნურად ხელს უწყობს სპეკულიაციის გაძლიერებას. მთავრობის თავმჯდომარემ ეს საქმე გადასცა იუსტიციის სამინისტროს. სპეკულიანტების დაპატიმრება და მათი საქმის გარჩევა მოხდება კანონ-მდებლობითი წესით.

— ქალაქის მოურავის მოხსენების თანახმად ქალაქში კერძო პირთა სახლების უმრავლესობას სჭირია რემონტი, მაგრამ ვინაიდან სახლების შემოსავალი რეკვიზიციის კანონის ძალით ძალიან ცოტა და ამის გამო კი სახლების მეპატრონენი სრულიად მოკლებულნი არიან საშუალებას რაიმე ხარჯები გასწიონ რემონტისათვის, ამიტომ ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რათა მან გადასდოს კერძო პირთა სახლების რემონტისთვის სამი მილიონი მანეთი სარემონტო ფონდიდან.

— სოციალ-დახმარების განყოფილებასთან გახსნილ კინემატოგრაფისთვის გრძელი სკამების და ქარანის შესაძენად ქალაქის გამგეობამ გადასდო 135.000 მანეთი.

ხელოვნება

ოტელო.

ნოემბერის თერთმეტს, დრამის სახელმწიფო თეატრში გამეორებულ იქნა შექსპირის ცნობილი პიესა „ოტელო“, პიესაში მონაწილეთა თამაშის ავ-კარგიანობას ჩვენ მოკლედ შევეხეთ პირველად წარმოდგენის დროს; ეხლაც იგივე ძალები თამაშობდენ, ამისთვის ჩვენ აღარ შევეხებით მოთამაშეებს; აღსანიშნავია, მხოლოდ, რომ როლები ეხლა უკეთ ქონდათ შეთვისებული; ბ-ნი ზარდალიშვილიც უკანასკნელად უკეთ თამაშობდა იაგოს როლს. კაცთა ცფიერება, მლიქვნელობა, სულის საბოროტე მან ეხლა უკეთ დაასურათა. იმედაშვილიც გვარიანი იყო ოტელოს როლში; ამ მსახიობს საკეთესო ნიჭი აქვს განიცდისა, მიმიკა და ჟესტიკულიაციაც, რაც დამახასიათებელია კარგი მსახიობისთვის, ხელს უწყობს ბ. იმედაშვილს, ხოლო ხმა კი ვერ აქვს ოტელოსათვის შესაფერისი; ოტელოს შეჰფერის ვაჟკაცური, ამაყი და დინჯი კილო, ბ-ნი იმედაშვილი კი ხშირათ სხაპა-სხაპით ლაპარაკობდა. მშვენიერი სენატორი იყო ჭიაურელი; ამ ახალგაზდა მსახიობის ნიჭი უდავოა. დეზდემონას როლს შეაფერისი ტემპერამენტით ასრულებდა ქ-ნი ქიქოძე, მაგრამ ამ როლში პირველად ქ-ნი ნ. ჩხეიძე უფრო მოგვეწონა. დანარჩენი მსახიობები ანსაბალს ჩინებულად უწყობდენ ხელს; მაგრამ ვაი ამისთანა ხელის შეწყობას —გაიყინვენ საცოდავები სცენაზე; ყოვლად შეუძლებელია ასეთ საყინულში თამაშობა. სიცივისაგან ძაგ-ძაგებენ იმ დროს, როცა ამას სრულიად არ მოითხოვს როლის შინაარსი. საგრძნობლად ცივოდა საერთოდ დარბაზში; ალბად სიცივის მიზეზი თუ იყო, ცარიელი სკამების სიმრავლე. ზოგმა ვერარ გაუძლო სიცივეს და წარმოდგენის გათავებამდე წავიდა. უსათუოდ უნდა გათბეს დარბაზი, თორემ მსახიობებიც ავად გაგვიხდება და ხალხიც დაფრთხება. თუ საოპერო თეატრში გადაჭარბებული სითბოა რა დაუშავა დრამის თეატრმა, გარდა იმისა, რომ ის თავის შინაარსით უფრო მისანდომია მდაბიო, თუ საშუალო კათეგორიის ხალხისთვის.

№ 82.

კოოპერატიული ცხოვრება

— თავის მოკავშირეთა ბიუროსათვის წარდგენილ 1919 წლ. ანგარიშების მიხედვით ცეკავშირის არა-სავაჭრო განყოფილების 1919 წლის მუშაობა გამოიხატებოდა შემდეგში: ცეკავშირის არა-სავაჭრო განყოფილებას სხვა და სხვა დარგთა მიხედვით ქვეგანყოფილებებათ დაყოფვა და ყოველი ქვეგანყოფილების სათავეში სპეციალისტ-გამგის დაყენება მიმდინარე 1920 წელში მოხდა; ამ ჟამათ ცეკავშირის არა სავაჭრო განყოფილება შეიცავს შემდეგ ქვე-განყოფილებებს—საგამომცემლოს (თავის წიგნის საწყობით და ბიბლიოთეკა - სამკითხველოთი), სტატისტიკურს, კულტურულ-განმანათლებელს, იურიდიულს და საინსტრუკტოროს. გასულ 1919 წელში არა სავაჭრო ფუნქციებს ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ საინსტრუკტორო კოლეგია. საგამომცემლო დარგში ამ წელს ეს კოლეგია ხელმძღვანელობდა კოოპერატიული შინაარსის ორკვირეულ ჟურნალის „კავშირის“ გამოცემას. მისივე ხელმძღვანელობით გამოიცა 1919 წელში კრებულ „შიდი მნათობის“ ორი ნომერი; გამოიცა რამოდენიმე სახელმძღვანელო კოოპერაციაზე. სტატისტიკურმა მუშაობამ ამ განყოფილებისამ მოგვცა წიგნათ გამოცემული „მასალები კოოპერატიულ მოძრაობისა ჩვენში“, რომელშიდაც თავმოყრილია ცნობები კოოპერატივებზე 1917 წლის შესახებ. კულტურულ-განმანათლებელ დარგში, გარდა იმ აგიტაციისა, რომელსაც ინსტრუქტორები ეწეოდენ ადგილობრივ, აღსანიშნავია კაპელის და შემდეგ საოპერო სტუდიის მოწყობა ქართულ მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად, აგრეთვე დრამატიული სტუდიის მოწყობა. უმთავრესი მუშაობა კი არა-სავაჭრო დარგში საინსტრუქტორო მუშაობა იყო. ამ დარგში ცეკავშირი ისახავდა ორ მიზანს: 1. გამორკვევა რაიონებისა კოოპერატიულის და ეკონომიურის მხრივ და ამ გამორკვევის მიხედვით მოთავება საკოოპერაციო მშენებლობისა ჩვენში და 2. კოოპერატივების გაჯანსაღება-გამოსწორება კოოპერატიულ იდეების გავრცელებით საერთოდ და კერძოთ კოოპერატივებში ანგარიშთ-წარმოების მოწყობით.

სულ მუშაობდა 1919 წელში 36 ინსტუქტორი, აქედან ცეკავშირის იყო 21, სარაიონო კოოპერატიული კავშირების 15.

ზემოაღნიშნულ პირველ მიზნის მისაღწევათ მუშაობდენ უფროსი ინსტრუქტორები და მათმა მუშაობამ მოგვცა წლის ბოლოსათვის თითქმის მთელი საქართველოს კოოპერატივების გაერთიანება სარაიონო კავშირებში და ამ უკანასკნელთა დაკავშირება ცეკავშირთან; მეორე მიზნისთვის იღწვოდენ უფროს ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით უმცროსი ინსტრუკტორები და მათი მუშაობის მეოხებით კოოპერატივთა ანგარიშთ-წარმოება საგრძნობლათ გამოუმჯობესდა. 1919 წლის განმავლობაში ინსტრუკტორების მიერ დათვალიერებული იყო 726 კოოპერატივი, სულ ინსტრუკტორები ყოფილა კოოპერატივებში 949 ჯერ საინსტრუკტორო განყოფილების მონაწილეობით და ხელმძღვანელობით იმავე წელში გაიმართა ანგარიშთ-წარმოების და კოოპერატიული კურსები სხვა და სხვა რაიონებში, რაც საშვალებას აძლევდა კოოპერატივებს ყოლოდათ საქმის მცოდნე მოანგარიშენი. სულ წლის განმავლობაში მოეწყო კურსები ოთხჯან: ჩოხატაურში, სადაც იყო 16 მსმენელი, სენაკში—15 მსმენელი, ზუგდიდში—35 მსმენელი, სიღნაღში—19 მსმენელი, სულ 85 მსმენელი.

ინსტრუკტორთა კოლეგიამ 1919 წელში, გამართა ოთხი ყრილობა, რომელთა დღიური წესრიგიც შეიცავდა მოხსენებებს კოოპერატიულ მოძრაობასთან დაკავშირებულ პრინციპიალურ და პრაკტიკულ საკითხებზე.

— ცეკავშირის მოკავშირეთა ბიუროს მე 5 სესიისათვის (23—26 ოკტომბერი) წარდგენილ მოხსენებ ს თანახმათ ცეკავშირის სავაჭრო განყოფილების მუშაობა 1919 წელში გამოიხატებოდა შემდეგში: როგორც 1918 წელში, ისე 1919-შიდაც ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებამ ვერ შესძლო შინაურ ბაზარზე ეწარმოებინა ნედლი მასალის დამზადება და ამ საქონლის საზღვარ-გარეთ გატანა, იქაურ საქონელზე გადაცვლა, ვერ შესძლო შინაურ და უცხო ბაზრის დაახლოვება. ამის მიზეზები იყო შემდეგი: თუ 1918 წელში ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ კურსის გამოურკვევლობ ს ყველა ჩვენ მოსაზღვრე სახელმწიფოებში და ცეკავშირის მიერ თანხების უქონლობას; 1919 წელში პირველი დაბრკოლება საგრძნობლათ შემცირდა,—დამკვიდრდა კავშირი დასავლეთ ევროპის, ინგლისის და იტალიის ბაზართან, ხოლო მეორე მიზეზი პირიქით უფრო გაიზარდა, თავისუფალი თანხები შემცირდა. მთავრობის მიერ სხვა და სხვა შინაურ წარმოების ნაყოფებზე მონოპოლიის გამოცხადებამ ფრთები შეაკვეთა კოოპერაციის ინიციატივას შინაურ ბაზარზე მოქმედების სფეროში. ამ მონოპოლიამ ჩაშალა ცეკავშირის ოპერაცია. თითქმის გასაზიდავათ დამზადებულ თამბაქოზე. ცეკავშირი იძულებული იყო სხვა არა მონოპოლიურ ნაწარმოების დამზადება-გატანისათვის მოეკიდა ხელი. ასეთი იყო თხილი, რომელიც დაგროვილ იქნა სამტრედიის და ოზურგეთის რაიონებში და გაიყიდა იტალიაში შედარებით სასურველი მოგებით.

საერთოთ სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება საშვალებას მისცემს კოოპერაციის სავაჭრო აპარატს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიურ ჩიხიდან გამოყვანის საქმეში.

პროვინციის ცხოვრება

გურჯაანის რაიონი.

ოქტომბრის 29-ს გურჯაანის თემის გამგეობის თაოსნობით შესდგა გურჯაანის რაიონის თემთა წარმომადგენელთა კრება; გამოცხადდნენ ანაგის, კარდენახის, ბაკურციხის, გურჯაანის, ახაშენის და ველისციხის თემთა წარმომადგენლები. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. ვაჩნაძე, მდივნად გ. ციბალაშვილი.

დღიური წესრიგის მიღების და ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა შემდეგი: 1) ადმინისტრაციის მოწესრიგებისთვის დაევალოს თემებს, რომ ადმინისტრაცია გააჯანსაღოს; მილიციის უფროსებად და მათ საქმის მწარმოებლად დააყენონ, რაც შეიძლება მცოდნე პირები და გამოუწერონ სახელმძღვანელოები ოქმებისა და სხვა წარმოების შესახებ.

2) რადგანაც სიღნაღის გვარდიის შტაბი დაშორებულია ჩვენ რაიონს და ყურადღებას ვერ აქცევს გვარდიელების მოქმედებას და ზოგიერთი გვარდიელები კი ბოროტად ხმარობენ თავის უფლებებს—კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ გურჯაანში დაარსდეს რაიონის შტაბი, რომელიც დაახალასებს წევრებს და დააყენებს წესიერ ნიადაგზე რაიც ეთხოვოს სათანადო მთავრობას დააჩქაროს ეს საქმე.

3) რადგანაც თემები საერთოდ კრიტიკულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი ფინანსიურ კრიზისის გამო, ამისთვის საჭიროა ერთიანი გადასახადი თემის ხარჯების დასაფარავად ჩამოაყალიბოს მთავრობამ და სათანადო კრედიტი გაუხსნას სესხის სახით თემებს—სინამ ისინი მოახერხებენ რაიმე შემოსავლის წყაროს გამონახვას კანონიერ ფარგლებში.

4) ბეგარა გატარდეს ახალ კანონის თანახმად აუცილებლივ გაფართოებულ იყოს, როგორც კანონის საუბნო გზები და ვისაც ჩამოეჭრება მამული ან ღობე და ან გალავანი —არაფერი საფასური არ მიეცეს პატრონს.

5) ეთხოვოს სამაზრო ერობას, რომ ახლო მომავალში მოაწყოს სიღნაღის მაზრის თემთა ყრილობა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვების გამოსარკვევად არა უგვიანეს სამი კვირისა და ვიდრე თემთა სამაზრო ყრილობა შესდგება წინასწარ მოხდეს რაიონის თემთა ყრილობა, რომ მომზადებულნი სამაზრო ყრილობას.

6) აუცილებლივ საჭიროა გაკეთდეს ანაგიდან მოყოლებული ველისციხემდე საშუალო გზა ალაზან-გაღმა სოფლებში შესაერთებლად და ხიდი. ეხლავე არჩეულ იქმნეს კომისია ამ საქმის მოსაწერიგებლად შემდეგი პირებიდან: ანაგიდან—მოსე ალაშვილი, კარდენახიდან კოლა დარაშვილი, ბაკურციხიდან ვიქტორ ვაჩნაძე, გურჯაანიდან—გიორგი ციბალაშვილი, ახაშენიდან—კოლა მაჭავარიანი და ჭაბუკიანიდან ვლ. ოქროშიძე და ანეკტოზ ლოლაძე.

ვ. ვ.

სოფ. ჩალაუბანი.

სოფელი ჩალაუბანი რომელიც მდებარეობს სიღნაღიდან 15 ვერსის სიშოროზე და მთლად დასერილია კახეთის რკინის გზის ლიანდაგით ფხვიერი და აყალო მიწის გამო წვიმა ავდრის შემდეგ მთელი ადგილი ზვავდება და დიდ ზიანს აყენებს მთელ სოფელს. იყო შემთხვევა რომ რამდენიმე სახლი დაინგრა სოფელში. ამის გამო სოფელში მცხოვრებთა რიცხვმა მეტად იკლო: 200 კომლიდან 160 კომლზე ჩამოვიდა. ბ ცხოვრება თან ბ თან შეძულებელი ხდება. ბაკურციხის თემის თავმჯდომარემ ვაჩნაძემ ინახულა მთავრობის წევრები სოფ. ჩალაუბნის გადასახლების შესახებ. რომელიც უნდა მოხდეს სოფ. მელაანის მახლობლად.

წერილი რედაქ. მიმართ

მე დამზადებული მაქვს გამოსაცემად შემდეგი წიგნები: ლაზების ნათესავობის შესახებ:

1, ბიზანტიის და რომაელ ძველ მწერალთა და გეოგრაფთა ცნობები ლაზისტანის შესახებ. გეროდოტე, სტრაბონი, პლინოზი, იუსტინე ისტორიკოსი და სხვანი.

2, კოლხები, ლაზები, მეგრელები, ჭანეთი, სვანეთი, და აფხაზთა ერთობა ქართველ ერსა და ენასთან.

3, ლაზები და კოლხები პონტოსა და კაპადოკიაში. ძველი სახელწოდება ქართველებისა და ლაზების ნათესავობა ქართველებთან.

4, პროფესორი ნიკ. მარი და მისი საპატიო „იაფეტური მეთოდი“, რითაც ნათლდება და მტკიცდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ქართველი ერის ნათესავობის შესახებ ლაზებსა, მეგრელებს, ჭანებს, სვანებს და აფხაზებთან და პროფ. შალ. ბერძის შრომა მეგრული ენის შესახებ.

5, ლაზისტანის კავშირი საქართველოსთან და მათი საერისთაობის ისტორია.

6, ოსმალთაგან ლაზისტანის დამორჩილება და ლაზების ისლამთან დაკავშირება.

7, როდის და როგორ დაემხო ლაზური ენა და როგორ გადაგვარეს ლაზები ოსმალთა.

8, ლაზური სახალხო ლექსები და ძველებური ამბები, ქართული ასოებით.

9, ზეპირი ამბები ლაზებში დაშთენილი, შესახებ მათის ნათესავობის მეგრელებსა და ქართველებთან, და

10, ლაზელ ბეგების ცნობები შესახებ ქართველებთან ერთობის და სიყვარულის.

ეს მასალა 40 წელიწადია, რაც დამზადებული მაქვს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე მისი გამოცემა ჩემდამი დამოუკიდებელ მიზეზების გამო. ეხლა ვაპირებ მის გამოცემას, თუ რომელიმე კულტურული ორგანიზაცია დახმარებას გამიწევს.

ზ. ჭიჭინაძე.

ნამდვილზე აწერია „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“

ხ. ვალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს საკავშირო სამრეწველო ბანკისა.

III. მმართველობა.

§ 41. ბანკის ყოველდღიურ ოპერაციების საწარმოებლად, საქმეთა წარმოების განსაგებლად და მიმდინარე მიწერ-მოწერის ბანკის სახელით გასაძღოლად გამგეობას შეუძლიან, საბჭოს დადასტურებით, დანიშნოს, თვის წევრებიდან ან გარეშე პირებიდან ერთი ან რამდენიმე დირექტორი გამგე, რომელთაც ეძლევათ დაწვრილებითი ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციას შეიმუშავებს გამგეობა და ამტკიცებ საბჭო. გამგეობას შეუძლია აგრეთვე საბჭოს დადასტურებით, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ამხანაგი. დირექტორი გამგისა, რომელთაც იმავე დროს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ გამგეობის წევრებად იყვნენ. დირექტორ გამგეებთან ხელშეკრული პირობები საზოგადო კრების მიერ უნდა იქნას დამტკიცებული.

შენიშვნა: დირექტორ გამგეებს და მათ ამხანაგებს აეკრძალებათ, ვიდრე თანამდებობას ასრულებენ, საკუთარი ანგარიშით სავაჭრო აქმეებ ს წარმოება და სხვა პირთან სავაჭრო საქმეში მონაწილეობის მიღება.

§ 42 გამგეობა, როგორც წარმომადგენელი ბანკისა, ყველგან მის ძაგიერობას სწევს უფლებოთ. კერძოთ კი თითეული გამგეობის წევრი მოქმედებს ბანკის სახელით გამგეობიდან მიღებულ ვექილობით.

შენიშვნა: ვექილობას გამგეობის ორი წევრი ხელს უნდა აწერდეს.

§ 43. გამგეობის წევრებს, დირექტორ გამგეებს, მათ ამხანაგებს და სხვა ბანკში დაქირავებულ მოხელეებს არ შეუძლიათ ისარგებლონ ბანკის კრედიტით არავითარ სახით.

§ 44. გამგეობის წევრების შრომის სასყიდელს საზღვრავს აქციონერთა საზოგადო კრება, ის შეიძლება ან შესდგეს განსაზღვრული ჯამაგირიდან ან მათ შორის განაწი-

ლებლად ბანკის წლიურ მოგების წილიდან ან დაბოლოს, ერთიდან და მეორედანაც.

§ 45. საბჭო ბანკისა იმყოფება ქალ. ქუთაისში და შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და არა ნაკლებ ცხრა წევრისაგან, რომელთაც საზოგადო კრება ირჩევს აქციონერთა შორის სამი წლის ვადით. თითეულ საბჭოს წევრს უნდა ქონდეს თავის სახელზე ასი აქცია, რომელიც ინახება ბანკის კასაში იმ დრომდე, ვიდრე საზოგადო კრება არ დაამტკიცებს ბანკის მოქმედების ანგარიშს იმ ხნის განმავლობაში, რა ხანსაც საბჭოს წევრი თავის თანამდებობას ასრულებდა.

§ 46. საზოგადო კრების მიერ არჩეული საბჭოს წევრებიდან სამსახურს თავს ანებებენ სამ-სამი წევრი. პირველ სამ წელს თავს ანებებენ სამსახურს წილის ყრით—ერთი წლის შემდეგ სამი წევრი, მეორე წლის შემდეგ 3 წევრი, სამსახურს თავდანებებული შეიძლება იქნას ხელმეორედ არჩეულნი.

შენიშვნა: გამგეობის და საბჭოს წევრები შეიძლება დაეხოვნილ იქნას აქციონერთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, მათ სამსახურის ვადის გასვლამდე.

§ 47. თუ რომელიმე საბჭოს წევრმა ვადამდე თავი დაანება სამსახურს, შემდეგი საზოგადო კრება ირჩევს მის მოადგილეს. თუ საბჭოს წევრთა რიცხვი დავიდა ხუთ წევრამდე, მაშინ დანარჩენმა წევრებმა უნდა მოიწვიონ საზოგადო კრება დამატებითი არჩევნების საწარმოებლად.

§ 48. საბჭოს დადგენილების სინამდვილესთვის საჭირო არის, რომ სხდომაზე მიიღოს მონაწილეობა არა ნაკლებ ექვსი კაცისა. საქმეები სწყდება ხმის უმეტესობით, თუ ხმათა რიცხვი შუა გაიყო, თავმჯდომარის ხმას უპირატესობა ეძლევა.

§ 49. საბჭო იკრიბება თვეში ერთ ხელ, ანუ უფრო ხშირადაც, თუ საჭიროდ დაინახავს, ან თუ გამგეობა რაიმე საშურო საქმის გამო საჭიროდა სცნობს მოუწოდოს საბჭოს არა ჩვეულებრივ კრებას.

საბჭოს ყველა კრებაზე იწერება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

§ 50. საბჭოს მოვალეობას შეადგენს:

ა) საერთო მეთვალყურეობა ბანკის საქმეთა წარმოებისადმი, ავრეთვე შემოწმება კასისა და ბანკის ყველა საბუთებისა ყოველ ჟამს, როცა ამას საბჭო მოითხოვს.

ბ) საბოლოოდ გადაწყვეტა იმ საკითხთა, რომელთა შესახებ გამგეობის წევრთა აზრი გაიყო და არც ერთ აზრს არ დაურჩა ხმის უმეტესობა. (§ 38)

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

სამხედრო სასამართლო თანახმად 1920 წ. 4 სექტემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილების ეძებს მე-7 რაზმის ყოფილ ჯარის კაცს ქ. ახალციხის მცხოვრებ ისაკ იგივე ოსებ) ალელაშვილს 21 წლისას რომელსაც სამხედრო სასამართლოს 1918 წ. 28 ნოემბრის სხდომის დადგენილებით მისჯილი აქვს გამასწორებელი რაზმი ორ წელიწად ნახევრის ვადით ზოგიერთ უფლებების და სამსახურში უპირატესობის ჩამორთმევით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ალელაშვილი ვალდებულია „განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32.

980 3—2

დაიკარგა პასპორტი პეტრე გიორგის ძე ჟუპლევაცკის სახელზე, მიღებული ჩრდილოეთ კავკასიის ოლქების თავჯდომარესაგან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3608 3—3

დაიკარგა პასპორტი № 688 გაიკ კარაპეტის ძე მუსაიანცის სახელზე, მიღებული სამხედრო სამხედრო საკონსულოდან ტფილისში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3604 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვლადიმერ აბრამის ძე ანთელავას სახელზე მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების კანცელარიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3605 3—3

დაიკარგა ნამსახურობის სია, პირველი საეტაპო ახალციხის გუნდის უფროსისგან, მეტრიკული ამონაწერი და სხვა საბუთები უფროსი ლეიტენანტი გიორგი ყარამანის ძე ჩარექოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3609 3—3

დაიკარგა ღვინის ჩამოტანის ნებართვა № 3501, დავით თათულაშვილის სახელზე, მიღებული აქციზის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3601 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ალექსანდრეს ქუჩა № 32 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის არგუთინსკის მემკვიდრეებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3607 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა თოფის № 811278 ნებართვით, მიღებული 2 რაიონის გვარდიის შტაბადან, პურის და ნავთის ბარათები გალაქტიონ იოსების ძე მურუსიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3616 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ივანეს ასული და სხ. ბარათოვების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1884 წ. რეესტრის № 553. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3617 3—3

დაიკარგა ძველი სენაკის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ტარიელ ყარამანის ძე შელეგიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3600 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი, ფედოსიევის ქ. № 29 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ლომიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3610 3—3

დაიკარგა ნამსახურობის სია 4 ხარისხის მოდელის გიორგი ტატარინცევის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3611 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბაკურციხის ეროობის თემიდან, სარეგისტრაციო ბარათი, და მეტრიკა ივანე აბრამის ძე კიკონაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3612 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი რევეკა ბორუხ ბინცეს ასული პოგრებეცკის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. № 2214 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3596 3—3

დაიკარგა ფერშლის მოწმობა, მიღებული ჟიტომირის სამხედრო გოსპიტალიდან და ამაღლების სამასწავლებლო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა სიმონ ივ. ამაღლობელის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3619 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ქვემო-ჭალის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვასილი როსტომის ძე ფუხაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3621 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გიორგი პავლეს ძე კაბულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3622 3—2

დაიკარგა პასპორტი № 6718 გურგენ კარაპეტის ძე ტასალიანცის სახელზე, მიღებული სომხების ეროვნულ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3614 3—3

დაიკარგა პასპორტი ვასილ მოსეს ძე გაგუნიას სახელზე, მიღებული ქუთაისის პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3597 3—3

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთი სტ. ქალის ნინო დიმიტრის ასული ახვლედიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3581 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ჯანდარმის ქ. № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კ. გალინეცს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3623 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი და სხვა საბუთები არიუტინ აგასის ძე ანდრიასოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3626 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული (პატარა ონის საზოგ.) სოფელ დიდიშის კომისრისაგან. ლავრენტი ფარსადანის ძე ღვდელაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3583 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, მეტრიკული მოწმობა, მიღებული ქუთ. ქალაქის თვითმართველობიდან და კოოპერატივი „მეურნეს“ წევრობის ბარათი არონ რუბენის ძე ელუაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3582 3—3

დაიკარგა უწყალო პასპორტი № 5562 თამარ შიოშის ასული (იგივე სიმონის ასული) ფითოევ იაგულოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3583 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით გეურჭას ძე ოთაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3584 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან არშაკ ივანეს ძე მოსესოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3584 3—3

დაიკარგა პასპორტი დორა გრიგოლის ასული კუბმარიოვის სახელზე, მიღებული დონის ოლქიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3599 3—3

დაიკარგა მეტრიკა, რეგისტრაციის ბილეთი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მაღაზიის მოწმობა და პარტიული ბილეთი. ალექსანდრე ივანეს ძე აზბაიკარა შვილის (იგივე მეტრეველი) სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3591 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 45 სიმონ კონსტანტინეს ძე წულუკიძის სახელზე, მიღებული ს. სოზანოს (შორაპნის მაზრა) თემის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3589 3—3

დაიკარგა პასპორტი № 471 ვასო ივანეს ძე კუმელაშვილის სახელზე, მიღებული გორის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3594 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსისაგან, კახეთის რკ. გზის კოოპერატივის წევრობის ბარათი და პირადობის მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან. ერმალოზ გაბრიელის ძე ჭუმბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ) 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3662|57 მიღებული ნავთლუღი-კახეთის უბნის გვარდიის შტაბიდან, წლიური ბილეთი, მიღებული სოფ. მარანის თემის გამგეობიდან, ჯარში ნამსახურობის მოწმობა, პირადობის მოწმობა, მიღებული კახეთის რკ. გზის სამმართველოდან და სასურსათო ბარათი, კახეთის რკ. გზის კოოპერატივის ნოე ივანეს ძე ჯაღარკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3586 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სურათით, მიღებული საფრანგეთის საკონსულოდან ფოტოგრაფიული აპარატის, საბაჟოს ქ. მუშაობის ნებართვა და სხვა საბუთები ისაკ გიორგის ძე თამაზაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3627 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ალაზნის ქ. № 16 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბაირამოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3639 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სარქის ოსკანას ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3643 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალ ქალაქის თემიდან, ს. დემოკ. პარტიის წევრობის ბარათი სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული, გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა სარქის სტეფანეს ძე ასლამაზოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3641 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალ ქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვასილ სტეფანეს ძე უმეკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3640 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 4159 ივანე სიმონის ძე ხვოიკას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3645 3—1

დაიკარგა პასპორტი ელენე მუშეგის ასული ანანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3646 3—1

დაიკარგა პასპორტი დშხა მუშეგის ასული ბაბაიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3648 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი სარაჯიშვილის ქ. № 2 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კვეზერელი და კოპაძეს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3649 3—1

ქ. ტფილისის მე-9 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ ქ. ტფილისში ანასტასია ანტონის ასულის რაჟდესტვენსკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ანასტასია ანტონის ასულის რაჟდესტვენსკის ქონებაზე 1241 მუხ. სამოქ. კან. ტ. 10 ნაწილ. აღნიშნულ ვადაში. 3638 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 30 ივლისს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 30 ნოემბერს 1919 წ. ალექსანდრე მოსეს ძე საკოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2538 1—1

ქ. ტფილისის მე-10 უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად სამ. საქ. წარ. წეს. 293 მუხ. იწვევს სასამართლოში ოთხი თვის ვადაში გიორგი მათეს ძე ავარანოვს, როგორც მოპასუხეს საჩივარზედ ელზა იაკობის ასულის თამარაშვილის შესახებ პირობის დარღვევის ამასთანავე აუწყებს, რომ საჩივართან ერთად წარმოდგენილია ნოტარიალური ხელშეკრულება მოპასუხისა და მარია გაუფის შორის. 3554 1—1

ქ. ტფილისის მე-9 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მიხეილ სოლომონის ძე ანტონიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება მიხეილ სოლომონის ძე ანტონიანცის ქონებაზე 1241 მუხ. სამ. კან. ტ. 10 ნაწილში აღნიშნულ ვადაში. 3460 1—1

ტფილისის მე-6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ დიმიტრი სოსიას ძე ტარალაშვილისა. გიორგი დიმიტრის ძე ტარალაშვილის და სტეფანე დიმიტრის ძე ტარალაშვილის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ტარალაშვილების ქონებაზე სამ. კან. კრებ. 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3518 1—1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მართა ანდრიას ასული ბესთავაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მართა ბესთავაშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მნ-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3522 1—1

თ ა ნ ა ხ მ ა დ ს ა ა ქ ც ი ზ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს

„პ რ ო მ ე თ ე ი ფ ი ლ მ ი ს“

აქციონერთა საგანგებო საერთო კრების დადგენილებისა მმართველობის ინსპექტორი

გლებ ლევის ძე პრესტოვსკი

დათხოვნილ იქნა თავის თანამდებობიდან და ყველა რწმუნების ქაღალდები, რომელიც მან მიიღო „პრომეთეი ფილმის“ საქციო საზოგადოებისაგან უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

გენერალური დირექტორი და სამმართველოს დირექტორი **მ. გ ხაპსაევი.**

3644 1—1